ძმაო დადო! მივიღე შენი მეორე წერილიც. მომწყინდაო, იწერები. რაკ საკვირველია, მოგწყინდება, მაგრამ წამოსვლა სისულელეა. კიდევ ორი თვე და მერე სულ კარგად იქნები. წამალი არ მოიკლო, იცოდე. თუ იქ არ არის, აქედან გამოგიგზავნით. კარაქიც უნდა ჭამო, თორემ ისე არაფერი გამოვა. მერე შენი ის არ მომწონს, რომ ძალიან ერევი ამ ლიტერატურის საქმეებში.

აგა რა საჭირო იყო ნატრიშვილისთვის საღანძლავი წერილი გაგეგზავნა. ან საცოდავ კაღანდაძეს რას ერჩოდი. მე ძალიან მიხარია, რომ ჩვენი აგრეები ყოველთვის ემთხვევა ერთმანეთს და მომწონს შენი პოეტური სიამაყე, მაგრამ ჩემო დადო, ამ ავადმყოფობის დროს თავი ანებე ყველას და იფიქრე მხოლოდ ჯანმრთელობაზე. თუ ძმა ხარ, არ გეგონოს, რომ ჭკუას გარიგებდე. ეს ისე, ასე სჯობია და იმიტომ გწერ. იქნებ შენ უფრო მართალი იყო. ბოლოს და ბოლოს სანამდე უნდა აიტანო კაცმა ეს სიგინძური. ჩვენი წიგნები ჯერჯერობით არ გამოდის. ქაღალდი არ არისო და ვოდევმარიც "ავანსად" არ ხატავს. ხომ იცი წინდახედული კაცია/ა!/. რეგომ წაიკითხა"ნაწყვეტები" შენი წერილიდან და თავისებურად გაიკრიჭა. წერილს მივწერო. ისე,ხომ იცი, საცაა საღამოს მოუწყობენ და მეტად დატვირთულია. ვახტანგის,უკვე დიდი ხანია დაეკარგა თარგმნის მადა. ისევ ისე უსაქმოდ დავყიალობთ მე და ვახტანგი. ხო, მართლა ერთხელ მე რაღაც მოგწერე. ვიღაც თავადის ქალთან გამიჯნურების შესახებ. მოგეხსენება სიყვარულის ამბავი. მდგომარეობა დღეში ათასჯერ იცვლება. დაწვრილებით ვერაფერს მოგწერ. უკეთ ვერ ვახერხებ, მოგწერო რამე. კალამი არ ეერჩის. არ იფიქრო, რომ არ გენდობი ან რამეს გიმალავ. ვის ვენდობი თუ არა შენ. კაი ბიჭები ასე ცოტაა ამქვეყნად. მაღე მორჩი შე ლმერთძაღლო. ჩამოდი და იქნებ გავაკეთოთ რამე. დროა კაცმა იფიქროს ნამდვილ წიგნზე. თუ სიყვარულშიც დავმარცხდი, დედას გეფიცები, თავს მოვიკლავ. ბოლოს და ბოლოს რას ვაკეთებ და ვის რათ ვუნდივარ. თუ სიყვარული მექნება, ლექსებსაც დავწერ და ყველაფერს ვიზამ. თუ არა და არაფერი არ მინდა. ამ დღეებში ბარათაშვილს ვკითხულობ სულ. გასაგიჟებელი პოეტია. არავის შემოქმედებაში არ მინახავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი სულიერი ტანჯვა. ეს სიმართლეა. /ეხ, რა სისულელეები მოვროშე/. ბარათაშვილი, რა თქმა უნდა, კარგი პოეტია.

წერილს კიდევ მოგწერ სულ მალე.

ალ. საჯაია

შენ ლექსში " ყისმათურ" გავასწორე და ნიკას მივეცი.

3I/V 40 წ.